

სასწავლო კურსი: ლაბორატორიული საქმე

საგამოცდო საკითხების ჩამონათვალი დიპლომირებული მედიკოსისათვის

1. ლაბორატორიული მედიცინის საგანი, მისი მნიშვნელობა დიაგნოსტიკისათვის, ძირითადი მიმართულებები.
2. თანამედროვე ლაბორატორიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
3. ლაბორატორიული მედიცინის კვლევების თანამედროვე დიზაინი, შესრულების მეთოდები.
4. უტილიზაციის და უსაფრთხოების წესები ლაბორატორიულ დიაგნოსტიკაში.
5. ლაბორატორიული საქმის ძირითადი პრინციპები. პრენალიტიკის, ანალიტიკის, პოსტანალიტიკის საკითხების განხილვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
6. ლაბორატორიის შიდა და გარე ხარისხის კონტროლის სისტემა.
7. ძირითადი ბაზისური კვლევების ჩამონათვალი
8. ჰემოგრამა-სისხლის საერთო კლინიკური ანალიზი, მისი პარამეტრები, მათი ნორმები ასაკისა და სქესის გათვალისწინებით.
9. ჰემოგრამისთვის სისხლის ნიმუშის მომზადების წესი და მისი განსაზღვრა ჰემატოლოგიური ანალიზატორით.
10. პერიფერიული სისხლის ნაცხის პრეპარატის მომზადება მიკროსკოპისათვის მორფოლოგიური კვლევისთვის.
11. პერიფერიული სისხლისა და ძვლის ტვინის მორფოლოგიური პრეპარატების უჯრედული სურათის განხილვა
12. სისხლის საერთო ანალიზის მაჩვენებლების ცვლილება სხვადასხვა პათოლოგიის დროს.
13. ლეიკოციტების რაოდენობის, ლეიკოციტური ფორმულის, ერითროციტების, ერითროიდული ინდექსის, თრომბოციტების, თრომბოციტული ინდექსების ნორმები და პათოლოგიური ცვლილებები.
14. სისხლმზადი სისტემის დაავადებები;
15. ანემიების და ლეიკემიების ეტიოპათოგენეზი, ლაბორატორიული დიაგნოსტიკა.
16. შარდისა და სხვა ბიოლოგიური სითხეების საერთო კლინიკური ანალიზი ფიზიკურქიმიური თვისებების კვლევა, მიკროსკოპულად მიღებული შედეგების კლინიკური ინტერპრეტაცია.
17. ცვლილებები სხვადასხვა პათოლოგიების დროს.
18. ძირითადი ბიოქიმიური პარამეტრები, მათი პრენალიტიკის, ანალიტიკისა და პოსტანალიტიკის საკითხები.
19. მიღებული შედეგების კლინიკური ინტერპრეტაცია.
20. მუშაობა ბიოქიმიურ ანალიზატორთან.
21. ჰემოსტაზის სისტემა: კოაგულაციური, ანტიკოაგულაციური და ფიბრინოლიზური სისტემის მაჩვენებლები, მათი დახასიათება, შესრულება, განსაზღვრა და კლინიკური ინტერპრეტაცია.
22. ჰემოსტაზის სისტემის დარღვევით გამოწვეული დაავადებები
23. ძირითადი იმუნოლოგიური პარამეტრები. იმუნოლოგიური კვლევების სხვადასხვა მეთოდები: ელექტროქემილუმინესცენტური, იმუნოქრომატოგრაფიული, ELISA
24. შედეგების კლინიკური მნიშვნელობა.
25. მუშაობა იმუნოლოგიურ ანალიზატორებთან.
26. იმუნოჰემატოლოგიური კვლევები აგლუტინაციისა და კოლონური აგლუტინაციის მეთოდით
27. ჯგუფის და რეზუსის სისტემის და კელის ანტისხეულების განხილვა
28. ბაქტერიოლოგიური კვლევები, მათი დანიშვნის ჩვენებები. კულტურის გამოყოფა და ანტიობიოტიკური მგრძობელობის შესრულება EUCA-ის მეთოდით.
29. ციტოლოგიური კვლევები. მასალის მიღების მეთოდები.
30. უჯრედული სურათი სხვადასხვა პათოლოგიის დროს: ანთებითი პროცესები, პისპლაზია, მეტაპლაზია, კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი პროცესები.
31. აპარატურის ტიპები ლაბორატორიულ დიაგნოსტიკაში, ძირითადი ანალიზატორების დახასიათება და მათთან მუშაობის ძირითადი პრინციპები.

ტიპობრივი საგამოცდო ბილეთის ნიმუშები

ბილეთი 1

1. მწვავე ლეიკემიების მორფოლოგიური დიაგნოსტიკა, ცვლილებები ჰემოგრამაზე.
2. პერიფერიული სისხლის სურათი არაჰემოპოეზური ონკოდაავადებებისას.
3. PH ქრომოსომული მარკერის კლინიკური მნიშვნელობა, რომელი დაავადების დიაგნოსტიკისათვის გამოიყენება.

ბილეთი 2

1. ლეიკემოიდური რეაქციების არსი.
2. კოაგულაციის ძირითადი პარამეტრები და მათი ინტერპრეტაცია, შესრულების მეთოდები, აპარატურა.
3. შარდის საერთო ანალიზის პარამეტრები, ნორმები, შესრულება, კლინიკური მნიშვნელობა.

ბილეთი 3

1. კოაგულოგრამის ცვლილებები ჰემოფილიების დროს
2. ლაბორატორიული მუშაობის ძირითადი პრიორიტეტები, ხარისხის კონტროლის არსი.
3. ციტოლოგიური კვლევების არსი, მასალის აღების მეთოდები.

ბილეთი 4

1. ქრონიკული მიელოიდური ლეიკემიებისას ცვლილებები სისხლის საერთო ანალიზში.
2. ბაქტერიული კვლევის დანიშვნის ჩვენებები და დიაგნოსტიკური მნიშვნელობა ქსოვილოვან სითხეებში სხვადასხვა დაავადებების დროს,
3. რკინა დეფიციტური ანემია. ცვლილებები პერიფერიულ სისხლში და დიაგნოსტიკა.